საია 5-6 ივლისის მოვლენების დროს შსს-ს ქმედებების გამოძიების მოთხოვნით გენერალურ პროკურატურას მიმართავს

დღეს საია-მ 5-6 ივლისს განვითარებული მოვლენების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებების გამოძიების მოთხოვნით გენერალურ პროკურატურას 9 დაზარალებული ჟურნალისტის სახელით განცხადებით მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ საია ამ დრომდეც მოუწოდებდა პროკურატურას, შეეფასებინა, ძალადობრივი განვითარების თავიდან ასარიდებლად/აღსაკვეთად რამდენად ეფექტიანად იყო დაგეგმილი და აღსრულებული საპოლიციო ძალების მობილიზება, გამოძიება ამ მიმართულებით არ მიმდინარეობს. ამ დრომდე, საგამოძიებო ორგანო მხოლოდ ცალკეული ფიზიკური პირების დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენაზე მუშაობს, რაც არასაკმარისია.

როგორც საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროები, ასევე, დაზარალებულების ახსნა-განმარტებები მიანიშნებს, კონტრაქციის მონაწილეთა წინასწარ დაანონსებული მობილიზაციის მასშტაბების მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ უზრუნველყო სათანადო ზომების მიღება. კერძოდ, პრობლემური იყო შსს-ს მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება, რაც გულისხმობდა მომხდარი

ძალადობის პრევენციასა და მედიის წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებული ძალადობის დროულ აღკვეთას. აშკარაა, რომ სამინისტროს საქმიანობა არ იყო დაგეგმილი იმგვარად, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო უზრუნველყოფილი აქციის მონაწილეთა თუ მედიის წარმომადგენელთა უფლებების დაცვა, რასაც შედეგად მოჰყვა მათი ჯანმრთელობის დაზიანება და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლა. დაზარალებულთა თქმით, ადგილზე მყოფი პოლიციელები ცალკეულ შემთხვევებში იმდენად უმოქმედოდ იყვნენ, რომ ამით პრაქტიკულად ხელს უწყობდნენ მოძალადეებს განზრახვის სისრულეში მოყვანას.

წარდგენილი განცხადებით, საია მოუწოდებს გენერალურ პროკურატურას, დროულად ჩატარდეს ეფექტიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება 5-6 ივლისის ძალადობრივი მოვლენებისას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებთან მიმართებით. კერძოდ, გამოძიება წარიმართოს როგორც შსს-ს ხელმძღვანელი პირების, ისე ცალკეული სამართალდამცავების ქმედებებში სავარაუდო დანაშაულის ნიშნების გამოკვეთისა და მათთვის პასუხისმგებლობის სათანადო ზომების დაკისრების მიმართულებით.